

საზოგადოებრივი ორგანიზაციების

მიმართვა საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას

სასურსათო ბაზრის მარეგულირებელი კანონმდებლობის რეფორმა

ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას, რათა დააჩქაროს სურსათის სფეროში მომხმარებლის უფლებების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის რეფორმა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ჯერ კიდევ 2012 წ. მიწურულს წამოიწყო „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ გადახედვა, რათა ეს კოდექსი უფრო ეფექტიანი გამხდარიყო და ევროკავშირის რეგულაციებს დაახლოებოდა. თუმცა, სათანადო ცვლილებები ჯერ კიდევ არ განხორციელებულა.

2012-2013 წლებში თითქმის არ შესრულებულა ევროკავშირთან სურსათის უვნებლობის სფეროში საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა.

მიუხედავად იმისა, რომ სურსათის ეროვნული სააგენტო (სეს), 2012 წ. შემოდგომის შემდეგ გაცილებით უფრო გააქტიურდა, ვიდრე წინა წლებში, სათანადო საკანონმდებლო ბაზის გარეშე, ეს ძალისხმევა საჭირო შედეგს ვერ გამოიღებს.

სასურსათო ბაზრის მოწესრიგებასთან დაკავშირებული ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც საკანონმდებლო დონეზე მოგვარებას საჭიროებს შემდეგია:

- 2001 წლის შემდეგ არ განახლებულა საკვებდანამატების გამოყენების წესები და არაერთი მოძველებული ჰიგიენური ნორმატივი. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ბაზარზე გამოტანილი სურსათის მიმართ ჰიგიენური მოთხოვნები არ შეესაბამება თანამედროვე საფრთხეებს. გარდა ამისა, ქართველი მომხმარებელი არ არის დაცული არაერთი საკვებდანამატისაგან, რომლებიც დასავლეთის, თუ პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც კი აკრძალულია.
- პრაქტიკულად არ ხდება სურსათის ბაზრის კონტროლი ფალსიფიკაციისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის საწინააღმდეგოდ. ამ კუთხით, ბაზრის

რეგულარული და სრულფასოვანი მონიტორინგი არ წარმოადგენს რომელიმე სახელმწიფო უწყების ვალდებულებას.

- სურსათის ბიზნეს-ოპერატორის გეგმური ინსპექტირება დასაშვებია მხოლოდ ამ უკანასკნელის წინასწარ, არანაკლებ ერთი თვით ადრე შეტყობინების შემდეგ.
- „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით“ გათვალისწინებული ჯარიმების სისტემა არაეფექტურია. ერთი მხრივ, კანონის დამრღვევს შეიძლება გაცილებით იაფი დაუჯდეს ამ ჯარიმების გადახდა, ვიდრე კანონიერი მოთხოვნის შესრულება, ხოლო, მეორე მხრივ, შეიძლება დიდ ტვირთად დააწვეს მცირე საწარმოებს. გარდა ამისა, რიგი მნიშვნელოვანი დარღვევებისათვის ჯარიმების მექანიზმის ამოქმედება 2015 წლამდეა გადავადებული.
- კონტროლის განმახორციელებელი პირების ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხი არ არის სათანადოდ მოწესრიგებული. ოჯახური, ნათესაური, თუ სხვა ტიპის პირადი კავშირები კონტროლის განმახორციელებელ პირსა და ბიზნესოპერატორს შორის არ წარმოადგენს დაბრკოლებას კონტროლის განსახორციელებლად.
- სასურსათო ბაზრის კონტროლის საჯაროობის მექანიზმები დასახვეწია. კონტროლის შედეგები, რომლებიც ლეგიტიმურ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს, მხოლოდ ნაწილობრივ არის ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი.
- მომხმარებელთა საჩივრებზე რეაგირების კანონით გათვალისწინებული მექანიზმები არაეფექტურია. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით სეს-ი თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, ოპერატიულად რეაგირებს მომხმარებლების მხრიდან შესულ საჩივრებზე, ეს საკითხი, საკანონმდებლო დონეზე სათანადოდ მოწესრიგებული არ არის. სეს-ის ერთადერთი ვალდებულება მომხმარებლის მიმართვის საფუძველზე ქმედითი ღონისძიების განხორციელებისა, არის საწარმოში არაგეგმური ინსპექტირების განხორციელება, თუმცა ამისათვის მომხმარებელს მოეთხოვება უაღრესად რთული მოთხოვნების დაკმაყოფილება, რაც პრაქტიკაში შეუსრულებელია.
- სურსათისადმი წაყენებული სტანდარტები არ რეგულირდება. მეწარმეს შეუძლია ნებისმიერი დასახელების სურსათი გამოიტანოს ბაზარზე, რომლის დასახელებაც არ შეესაბამება მომხმარებლის მოლოდინს ამ სურსათის შემადგენლობასთან დაკავშირებით. მაგალითად, მეწარმეს შეუძლია რძის პროდუქტის სახელწოდებით გამოიტანოს ბაზარზე სურსათი, რომელიც სინამდვილეში საერთოდ არ შეიცავს რძეს და სხვა.

აქედან გამომდინარე, მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას მეტი ყურადღება დაუთმოს ისეთ მნიშვნელოვან სფეროს, როგორც არის სურსათის სფეროში მომხმარებლის უფლებების დაცვა, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული საქართველოს მოსახლეობის, მისი მომავალი თაობების ჯანმრთელობასთან.

ჩვენი მხრივ, მზადყოფნას ვაცხადებთ, შეძლებისდაგვარად დავეხმაროთ ხელისუფლებას ამ მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელებაში.

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი

კავშირი 21-ე საუკუნე

საზოგადოებრივი ორგანიზაცია „გარემო, რისკი და საზოგადოების უფლებები“

საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ჯანმრთელი სამყარო“

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია

სასურსათო პროდუქტების ექსპერტთა ასოციაცია

საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია

ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“